ხელშეკრულება № 68

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად (CPV 45233220)

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია "…22…" ……12…… 2014 წ. თბილისი.

ერთი მხრივ, **სახელმწიფო აუდიტის სამსახური,** წარმოდგენილი მისი საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის დავით კაპანაძის სახით (შემდგომში შემსყიდველი)

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №96

საიდენტიფიკაციო კოდი: 202051956

სახელმწიფო სახაზინო კოდი: 220101222 ა/ა 200122900

და მეორე მხრივ, **შპს ,,არსაკიძე 2000"-ს** წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ სარალიძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი),

მისამართი: თბილისი, ისანი -სამგორის რაიონი,ხომლელის ქ,კორპ. 5ა ბ.52;

საიდენტიფიკაციო კოდი: 208208599

საბანკო რეკვიზიტები: სს ,,ლიბერთი ბანკი", ანგარიშსწორების ანგარიში GE31LB0113194522608003

შორის

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში„ხელშეკრულება")შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თბილისში მდებარე ადმინისტრაციულ შენობის ეზოში ხარჯთაღრიცხვით გათვალიწინებული გზების საფარის დაგებასთან დაკავშირებული სარემონტო სამუშაოების (შემდგომში სამუშაო) ჩატარება.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **3031,11 (სამიათასოცდათერთმეტი ლარი და 11 თეთრი) ლარს, დღგს ჩათვლით.**

3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია ხარჯთაღრიცხვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადები და ადგილი

მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **3 სამუშაო დღის ვადაში,** შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №96

მუხლი 5. სამუშაოს ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაო იქნება ხარისხიანი და სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული სხვადასხვა მასალები იქნება მაღალი ხარისხის და შეესაბამისობაში დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებთან.

5.2. საგარანტიო ვადა შეადგენს 1 წელს, რომლის ვადის ათვლა იწყება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული სამუშაოს შეცვლა და დამატებით სამუშაოს შესრულება გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5.4. მიმწოდებლის მიერ 5.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება (თუ სამუშაოს საფასური უკვე გადახდილია) ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან (თუ სამუშაოს საფასური გადახდილი არ არის).

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის სამუშაოს შესრულების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2. სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.3. სამუშაოს მიღების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით, გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.4. შემსყიდველი ვალდებულია წუნდებული სამუშაოს გამოვლენის შემთხვევაში, დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს წუნდების მიზეზის მითითებით.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხოლოდ ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალიწინებული სამუშაოების საბოლოოდ და სრულად დასრულების შემდგომ, მიღება-ჩაბარების და

შესრულებული სამუშაოს აქტების გაფორმების, მიმწოდებლის მხრიდან ფაქტობრივად შერულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტების და ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე, 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.4. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: სახელმწიფო ბიუჯეტი;

8.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 9. ფასები

9.1. ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა).

9.2. ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

მუხლი 10. ფორსმაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

10.2. ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორსმაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება ასევე შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით ან სხვა სტიქიური უბედურებით;

10.3. ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს დოკუმენტურად დასაბუთებული წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ,.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების 10.3. პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას მხარეები უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების შესაბამისად, შეცვალონ ან შეწყვიტონ ხელშეკრულების პირობები, სრულად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება,

მუხლი 11. მხარეთა უფლება–მოვალეობები.

11.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო;

11.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

11.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო;

11.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მხოლოდ ხელშეკრულების დანართით (ხარჯთაღრიცხვით) გათვალისწინებული სამუშაოს სრულად და სრულყოფილად შესრულების შემდგომ, სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური.

მუხლი 12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

12.1 მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი მთლიანი ან ნაწილობრივი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის;

12.2 თუ ერთ–ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი, ან სხვა ფორმით აფრთხილებს, რათა შეასრულოს ხელშეკრულების პირობები;

12.3 ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ვალდებულებების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს, შესაბამისი გაფრთხილების გაგზავნისა და დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

12.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში (ხარჯთაღრიცხვითგათვალისწინებული სამუშაოს არასრულად, დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან სხვა), მიმწოდებელს ეკისრება პასუხისმგებლობა - პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მთლიანი სახელშეკრულებო თანხის 0.5% პროცენტის ოდენობით.

12.5 იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვის მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

12.6 შემსყიდველი პასუხისმგებლობას კისრულობს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს ვადაგადაცილებული თანხის 0.1 პროცენტი.

12.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 13. მხარეთა ურთიერთობა

13.1. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას;

13.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, ამ თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

მუხლი 14. გადასახადები და გაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს კანონმდებლობით და საქართველოს ფარგლებში

მუხლი 15. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 16. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

16.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

16.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

ბ) ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

გ) მიმწოდებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ვადების 5 დღით დარღვევის შემთხვევაში (ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველი),

დ) შემსყიდველის მიერ, ხელშეკრულების შეწყვეტამდე 10 დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

17.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 18. დავების განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებასთან/დარღვევასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 19 დამატებითი პირობები

19.1. არც ერთ მხარეს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

19.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად დადგენილი პირობებით, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით დადგენილ თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

19.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

19.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელ მხარესთან, ხოლო მეორე შემსყიდველ მხარესთან)

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
დავით კაპანაძე	**ნიკოლოზ სარალიძე**
საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი
მ.ა.	მ.ა.

ეზოში ა/ბეტონის სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა

N	სამუშაოეს დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთ.ფასი	სულ ფასი
	დაზიანებული ა/ბეტონის საფარის ფრეზირება და დატვირთვა ავტო თვითმცლელზე	კვ.მ	110.0	2.0	220.0
	სამშენებლო ნაგვის გატანა სამშენებლო მოედნიდან და გადაყრა 15 კმ-ზე	კუბ.მ	6.50	5.0	32.50
	თხევადი ბიტუმის მოსხმა ნაწიბურებზე 0.035ლ-დან 0.040ლ-მდე გრძივ მეტრზე	გრძ.მ	35.0	1.08	37.80
	60%-ანი ბიტუმის ემულსიის მოსხმა საფუძვლის ზედა ფენაზე (0.035 ლ/კვ.მ-ზე)	ლიტრი	3.85	1.2	4.62
	საფარის ზედაფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონით სისქით 5სმ.	კვ.მ	110.0	18.5	2035.0
	ჯამი				**2329.92**
	ზედნადები ხარჯი	**5 %**			**116.50**
	ჯამი				**2446.42**
	გეგმიური დაგროვება	**5 %**			**122.32**
	ჯამი				**2568.74**
	დღგ	**18 %**			**462.37**
	სულ ჯამი				**3031.11**

საფინანსო და ლოჯისტიკის
დეპარტამენტის უფროსი

დ.კაპანაძე _____

STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA
202051956

შპს ,,არსაკიძე2000''-ის დირექტორი

ნ.სარალიძე _____

ც ნ ო ბ ა

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„22" 12 2014 წელი

ჩვენ წინამდებარე ცნობაზე ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თბილისის ადმინისტრაციული შენობის ეზოში გზების საფარის დაგებასთან დაკავშირებული **სარემონტო სამუშაოების (CPV 45233220) შესყიდვის** პროცედურის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა, არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მითითებულ მომწოდებელ **შპს „არსაკიძე 2000" -თან** ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სატენდერო
კომისიის წევრები:

კომისიის თავმჯდომარე,
საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი _____ /დ. კაპანაძე/

თავმჯდომარის მოადგილე-
საფინანსო სამსახურის უფროსი _____ /ზ. ხოფერია/

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე _____ / გ. კეკელიშვილი /

იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე _____ /ლ. ულუმბერაშვილი /

საორგანიზაციო სამსახურის უფროსი _____ / ლ. ლობჟანიძე /

იურიდიული დეპარტამენტის მთავარი იურისტი _____ / გ. კობრეშვილი /

აპარატის წევრები:

ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი _____ /ნ. ღუნაშვილი /

შესყიდვების კოორდინატორი _____ / გ. ჩოხელი /

ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი _____ /დ. გოგოლაძე /

საფინანსო სამსახურის მთავარი სპეციალისტი _____ / ნ. ყალამაშვილი /

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების ინსპექტირების ჯგუფის წევრები:

ლოჯისტიკის სამსახურის ექსპერტი _____ /ზ.ბაღაშვილი /

ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი _____ /გ.ჯინჭარაძე/

საქართველო
სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 377/30
„22" 12 2014

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ქ.თბილისის ადმინისტრაციული შენობის ეზოში აუცილებელია ჩატარდეს შენობის ირგვლივ სარემონტო სამუშაოები რათა თავიდან იქნას აცილებული სარდაფში წყლის დინება. აქედან გამომდინარე საჭიროა შემდეგი სახის სამუშაოებს ჩატარება: დაზიანებული ასფალტის დემონტაჟი და ახლის მონყობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2014 წლის 22 დეკემბრის სატენდერო კომისიის N1 ოქმის შესაბამისად დადგინდა, რომ შექმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გამო, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თბილისის ადმინისტრაციული შენობის ეზოში გზების საფარის დაგებასთან დაკავშირებული სარემონტო სამუშაოების (CPV 45233220) შესყიდვა.

დანართი: 2 ფურცელი

საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი
(სატენდერო კომისიის თავმჯდომარე) **დავით კაპანაძე**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №1

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თბილისში მდებარე ადმინისტრაციული შენობის ეზოში გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გზების საფარის დაგებასთან დაკავშირებული სარემონტო სამუშაოების შესყიდვის შესახებ

თბილისი 22.12.2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის თავმჯდომარე: დავით კაპანაძე
საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი

კომისიის წევრები:
ზვიად ხოფერია - თავმჯდომარის მოადგილე-საფინანსო სამსახურის უფროსი.
გიორგი კეკელიშვილი - ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ლადო ულუმბერაშვილი -იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ლევან ლობჟანიძე - საორგანიზაციო სამსახურის უფროსი.
გიორგი კობრეშვილი - იურიდიული დეპარტამენტის მთავარი იურისტი.

აპარატის წევრები:
ნიკოლოზ ღუნაშვილი - ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი
გიული ჩოხელი - შესყიდვების კოორდინატორი
დავით გოგოლაძე - ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ნანა ყალამაშვილი - საფინანსო სამსახურის მთავარი სპეციალისტი,

დღის წესრიგი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციულ შენობის ეზოში (მდებარე თბილისი წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №96) გზების საფარის დაგებასთან დაკავშირებული სარემონტო სამუშაოების (CPV 45233220) გადაუდებელი აუცილებლობის გამო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის შესახებ.

მოისმინა:

აპარატის წევრმა ნანა ყალამაშვილმა კომისიას წარუდგინა 2014 წლის 22 დეკემბრის N2839/01 ლოჯისტიკის სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ღუნაშვილის მოხსენებითი ბარათი სადაც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თბილისის ადმინისტრაციული შენობის ეზოში აუცილებელია სასწრაფოდ ჩატარდეს შენობის ირგვლივ სარემონტო სამუშაოები რათა თავიდან იქნას აცილებული სარდაფში წყლის დინება. აქედან გამომდინარე საჭიროა ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები: დაზიანებული ასფალტის დემონტაჟი და ახლის მოწყობა. აღნიშნული სამუშაოების სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 3031.11 ლარს დღგ-ს ჩათვლით (იხ.დანართი)

განიხილა:

კომისიის წევრების მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თბილისის ადმინისტრაციული შენობის ეზოში სასწრაფოდ ჩასატარებელი გზების საფარის დაგებასთან დაკავშირებული სარემონტო სამუშაოების (CPV 45233220) შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

დაადგინეს:

1. შექმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გამო, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თბილისის ადმინისტრაციული

შენობის ეზოში სასწრაფოდ ჩასატარებელი გზების საფარის დაგებასთან დაკავშირებული სარემონტო სამუშაოების (CPV 45233220) შესყიდვა.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს განახორციელოს შესაბამისი პროცედურები აღნიშნულის უზრუნველსაყოფად.

კომისიის თავმჯდომარე	_____	დავით კაპანაძე
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	_____	ზვიად ხოფერია
კომისიის წევრი	_____	გიორგი კეკელიშვილი
კომისიის წევრი	_____	ლადო ულუმბერაშვილი
კომისიის წევრი	_____	ლევან ლობჟანიძე
კომისიის წევრი	_____	გიორგი კობრეშვილი

აპარატის წევრები:

აპარატის წევრი	_____	ნიკოლოზ ღუნაშვილი
აპარატის წევრი	_____	გიული ჩოხელი
აპარატის წევრი	_____	ნანა ყალამაშვილი
აპარატის წევრი	_____	დავით გოგოლაძე